



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ნოე ქაშიბაძე

17 იანვარი 2022 წელი

N 2/36

ეგზ.: N 1

სსიპ – დევნილთა საარსებო წყაროების
მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების
სააგენტოს მიერ დახარჯული საბიუჯეტო სახსრების
შესაბამისობის აუდიტი

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	შემაჯამებელი მიმოხილვა	3
	რეკომენდაციები	5
	1. შესავალი	6
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	6
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	6
	აუდიტის საგანი	6
	აუდიტის მასშტაბი	6
	აუდიტის კრიტერიუმები	6
	აუდიტის მიზანი	8
	აუდიტის მეთოდოლოგია	8
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	9
	2. აუდიტის მიგნებები	10
დანართები	დანართები	17
	საკონტაქტო ინფორმაცია	20

ტერმინები და შემოკლებები

აფხაზეთის ა/რ – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა.
აფხაზეთის მთავრობა – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.
ფინანსთა სამინისტრო – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო.
სააგენტო – სსიპ – დევნილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროგრამებისა და პროექტების სააგენტო.
შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.
სსიპ – საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ – დევნილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტოს მიერ დახარჯული საბიუჯეტო სახსრების შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

არაფინანსური აქტივები

აქტივის არაუფლებამოსილი პირის მიერ გამოყენება

სააგენტოს სარგებლობის უფლებით ბალანსზე ერიცხება მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობა. აღნიშნულ ფართზე სააგენტოს მიერ დაგეგმილი იყო დაფნის პირველადი გადამუშავების სამუშაოების მოწყობა და შემდგომი ფუნქციონირების პირობებში როგორც დევნილთა დასაქმება, ასევე მიღებული პროდუქციის რეალიზაციის შედეგად შესაბამისი სარგებლის მიღება. თუმცა, დაგეგმილი პროგრამა ფაქტობრივად ვერ განხორციელდა და დაფნის ნერგები განადგურდა, ხოლო შენობა-ნაგებობა არაუფლებამოსილი ფიზიკური პირის სარგებლობაშია, რომელსაც ფართზე მოწყობილი აქვს დაფნის სამუშაო. შესაბამისად, შენობა-ნაგებობა (მიწასთან ერთად) და იქ განთავსებული აქტივები გამოიყენება მართლზომიერი და კანონიერი საფუძვლის გარეშე.

გამოყენებული უძრავი ქონება

სააგენტოს ბალანსზე ერიცხება 4 ერთეული მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობები, რომელთაც სააგენტო არ იყენებს რაიმე კონკრეტული დანიშნულებით. შესაბამისად, ფაქტობრივად დაკარგულია ის სარგებელი, რომელიც შესაძლოა მიიღოს სააგენტომ აღნიშნული აქტივების დანიშნულებისამებრ გამოყენებით.

კონსტრუქციების დანაკლისები

სააგენტოს მიერ 2016-2017 წლებში იჯარის ხელშეკრულებებით გაცემული სასათბურე კონსტრუქციებიდან, რიგ შემთხვევაში არ დასტურდება ბენეფიციართათვის კონსტრუქციების ფაქტობრივი გადაცემის ფაქტები. გარდა აღნიშნულისა, 2020 წელს კვლავ განხორციელდა კონსტრუქციების შესყიდვა და ბენეფიციართათვის იჯარით გაცემა, თუმცა ადგილზე გადამოწმებით გამოვლინდა, რომ ბენეფიციართა ძირითად ნაწილს არ მიუღია აღნიშნული კონსტრუქციები. შესაბამისად, ვერ დასტურდება 31,915 ლარის ღირებულების აქტივების არსებობა.

ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი დანაკლისი

აუდიტის ჯგუფის მიერ აქტივების ადგილზე დათვალიერებით გამოვლინდა, რომ სააგენტოს ბალანსზე რიცხული სოფელ ქვალონში მდებარე კონტეინერი, არ აღმოჩნდა მითითებულ მისამართზე. ასევე, სააგენტომ მიმდინარე წლის სექტემბერში ჩაატარა ინვენტარიზაცია, რომლის შედეგადაც გამოავლინა 113,126,29 ლარის (59 დასახელების აქტივი) დანაკლისი. აღნიშნულის შესახებაც ინფორმაცია სააგენტომ მიაწოდა მაკონტროლებელ სტრუქტურას (აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო).

დაკავშირებული მხარეები**დაკავშირებული მხარეების მიერ ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტები**

პროგრამების სააგენტოში 2019-2020 წლებში დასაქმებული უფროსი სპეციალისტი იყო სსიპ-ის იმჟამინდელი ხელმძღვანელის ოჯახის წევრი (მეუღლე), რითაც დაირღვა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები. ასევე, სააგენტომ 2019-2020 წლებში, ჯამში – 125,896 ლარის მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება გააფორმა და, შესაბამისად, საბიუჯეტო სახსრები გადაუხადა სსიპ-ის დევნილთა ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდის ხელშეწყობის პროექტებისა და პროგრამების სამმართველოს უფროსის ოჯახის წევრის ახლო ნათესავს. მოქმედი კანონმდებლობით აღნიშნული საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტია.

პროგრამების დაგეგმვა და შესრულება**პროგრამების შემუშავებისას არსებული ხარვეზები**

სააგენტოს მიერ ადმინისტრაციული ხარჯების პროგრამისათვის არ იყო განსაზღვრული პროგრამის მოსალოდნელი შედეგები და შეფასების კრიტერიუმები და ინდიკატორები, რომლებიც მიღწეული შედეგების შეფასების საშუალებაა. ასევე სააგენტოს დანარჩენი პროგრამებით განსაზღვრული მოსალოდნელი შედეგების შეფასების ინდიკატორები ატარებდა ზოგად ხასიათს. შესაბამისად, ვერ ხერხდება მიღებული შედეგის ზუსტი შეფასება.

პროგრამების შესრულების ნაკლოვანებები

სააგენტოს 2019-2020 წლების პროგრამების შესწავლით გამოვლინდა, რომ მოქმედი 10 პროგრამიდან 4 ფაქტობრივად არ შესრულებულა. მიუხედავად იმისა, რომ გაწერილი იყო ღონისძიებებები, რომლებიც უნდა განხორციელებულიყო და გახარჯულია საბიუჯეტო სახსრები, საბოლოო დაგეგმილი შედეგი ვერ იქნა მიღწეული. შედეგად, სააგენტოს მხრიდან 2019-2020 წლებში არამიზნობრივად არის გახარჯული, ჯამში – 252,643 ლარის საბიუჯეტო სახსრები.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია N1

სააგენტოს

სააგენტომ შეიმუშაოს კონტროლის ღონისძიებების ქმედითი ისეთი სისტემა, რომელიც არ დაუშვებს არაუფლებამოსილი პირების მიერ არაფინანსური აქტივების გამოყენებას. მაკონტროლებელთან კოორდინაციით, უზრუნველყოს ინტერესთა შეუთავსებლობასთან დაკავშირებით პრევენციულ ღონისძიებების გატარება, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო ქონების ეფექტიანად გამოყენებასა და შესყიდვების კონკურენტულ გარემოში ჩატარებას.

რეკომენდაცია N2

სააგენტოს

სააგენტომ, ზემდგომთან კოორდინაციით, პროგრამების (ქვეპროგრამების) შემუშავებისას მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შეფასების ინდიკატორები შესაბამისობაში მოიყვანოს მეთოდოლოგიასთან.¹ ასევე დანერგოს პროგრამის განხორციელებაზე შესაბამისი მონიტორინგის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი პროგრამული ბიუჯეტის შესრულებასა და პროგრამებით(ქვეპროგრამებით) განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	სსიპ – დევნილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ასევე, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამოებებს.
აუდიტორის პასუხისმგებლობა	აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – სსიპ – დევნილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტოს მიერ დახარჯული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს. აუდიტის ანგარიშში არ არის საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტია. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშესაბამოებების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.
აუდიტის საგანი	სსიპ – დევნილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტოს მიერ დახარჯული საბიუჯეტო სახსრების შესაბამისობის აუდიტი.
აუდიტის მასშტაბი	აუდიტი მოიცავს 01.01.2019 - 31.12.2020 წლების პერიოდს.
აუდიტის კრიტერიუმები	აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები: • საქართველოს კანონი – საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;

- საქართველოს კანონი – საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს კანონი – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის ბრძანება N385 „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 მარტის დადგენილება N133 „ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქცია“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის ბრძანება N7 „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება N9 „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება N13 „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 23 სექტემბერი დადგენილება N32 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის „გამწვანებისა და გარემოსდაცვითი პროექტების სააგენტოს“ რეორგანიზაციისა და მის ბაზაზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „დეწილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტოს“ შექმნის შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 30 ნოემბრის დადგენილება N39 „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის

სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის საქვეუწყებო დაწესებულება – სატყეო სამმართველოს რეორგანიზაციისა და მის ბაზაზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის „გამწვანებისა და გარემოსდაცვითი პროექტების სააგენტოს“ შექმნის შესახებ;“

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2021 წლის 17 თებერვლის დადგენილება N11 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის „დევენილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტოს“ რეორგანიზაციისა და მის ბაზაზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის“ პროგრამებისა და სერვისების სააგენტოს“ შექმნის შესახებ.“

აუდიტის მიზანი

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან;
- დოკუმენტაციის შესწავლა-ანალიზი;
- მონაცემთა ანალიზი (მონაცემთა ბაზების და მონაცემთა დოკუმენტური ანალიზი).

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

სააგენტოს ძირითადი ამოცანაა აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა ეკონომიკური ინტეგრაციისა და მათი საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად მიზნობრივი პროგრამებისა და პროექტების შემუშავებაში მონაწილეობა, განხორციელება და შეფასება, ასევე მათი შესრულებისათვის საჭირო ფინანსური რესურსის მოძიება და ეფექტიანი მართვა. ამ მიმართულებებით სააგენტოს მიერ 2019-2020 წლებში განხორციელდა საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა შემდეგ პროგრამებზე:

კოდი	პროგრამის დასახელება	ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმა		ფაქტობრივი ხარჯი		შესრულება %	
		2019	2020	2019	2020	2019	2020
18 07 01	სსიპ - დევნილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტო	60660	485400	61422	492139	101%	101%
18 07 02	დევნილთა კოლექტიურ ცენტრში კეთილმოწყობისა და გამწვანების ღონისძიებები	33700	5450	33681	5450	100%	100%
18 07 03	მაღალეფექტური მრავალწლიანი კენკროვანი კულტურის (ლურჯი მოცვი) წარმოების განვითარების ხელშეწყობა	38400	75000	37988	74271	99%	99%
18 07 04	„კოლხური ბზის გადარჩენის ღონისძიებები ფარგლებში საბაზისო სანერგე მეურნეობის ფუნქციონირება და დევნილი ახალგაზრდებისათვის ეკოსაგამანთლებლო სივრცის მოწყობა“	-	7000	-	6880	-	98%
18 07 05	დევნილთა მოწყვლადი ჯგუფების დახმარება	-	441860	-	441860	-	100%
18 07 06	დევნილთა დასაქმების ხელშეწყობა დაფნის პირველადი გადამუშავების საამქროს მოწყობა-ფუნქციონირების შედეგად	-	65849	-	65808	-	100%
18 07 07	დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა და მათი ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდა მრავალწლიანი კულტურის წარმოება-რეალიზაციის შედეგად	-	50250	-	50175	-	100%
18 07 08	დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა მარტივი ტიპის სათბურების რეაბილიტაცია-ფუნქციონირების გზით	-	25000	-	24400	-	98%
18 07 09	აფხაზეთიდან დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა ერთწლიანი კულტურების წარმოების გზით	-	18980	-	18980	-	100%
18 07 10	აფხაზეთიდან დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა ერთწლიანი კულტურების წარმოებს გზით	-	129700	-	129490	-	100%
18 07 11	„ახალი კორონავირუსის (COVID-19) საპრევენციო ღონისძიებების ხელშეწყობა“	-	11000	-	9725	-	88%

2. აუდიტის მიგნებები

2.1 არაფინანსური აქტივები

2.1.1 აქტივის

არაუფლებამოსილი პირის
მიერ გამოყენება

კრიტერიუმი: „სახელმწიფო ქონებით მოსარგებლე, რომელსაც არ აქვს ამ ქონებით მართლზომიერად სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი და რომელიც ქონებას სამეწარმეო საქმიანობისათვის (კომერციული მიზნით) იყენებს, ვალდებულია, ქონების მმართველის წერილობითი მოთხოვნის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადოს სარგებლობაში გადაცემის საფასური, საბაზრო ღირებულების შესაბამისად (საექსპერტო/აუდიტორული დასკვნის საფუძველზე), საჯარო რეესტრში სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან სარგებლობის მთელი პერიოდისათვის“.²

„ფიზიკურ პირს ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს სახელმწიფო ქონებას სასყიდლით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის ფორმებით, აუქციონის საფუძველზე, ქონების მმართველის თანხმობით, გადასცემს ის სახელმწიფო ორგანო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ორგანო, მუნიციპალიტეტი ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ეს ქონება სარგებლობაში აქვს გადაცემული ან ბალანსზე ერიცხება. თუ სახელმწიფო ქონება არ არის სარგებლობაში გადაცემული, მას ფიზიკურ პირს ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს სარგებლობაში გადასცემს ქონების მმართველი დადგენილი წესით“.³

„ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა ინერგება ფინანსური მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესებისათვის, დაწესებულების მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად, რაც ხორციელდება შემდეგი საშუალებებით:

ა) დაწესებულების მიერ განხორციელებული ოპერაციების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, მარეგულირებელ წესებთან, შიდა პოლიტიკასთან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებთან;

ბ) ფინანსური და ოპერაციული ინფორმაციის თაობაზე სრულყოფილი, ამომწურავი და სანდო ანგარიშგება;

გ) სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენება;

დ) აქტივების, ინფორმაციისა და სხვა რესურსების დაცვა დაკარგვისაგან, არამართლზომიერი გამოყენებისაგან ან მართვისაგან და დაზიანებისაგან“.⁴

ფაქტობრივი გარემოება 1: სააგენტოს სარგებლობის უფლებით ბალანსზე ერიცხება ხობის რაიონის სოფელ ხამისქურში მდებარე 4,200 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე 78,487 ლარის საბალანსო ღირებულების შენობა-ნაგებობა. ასევე განთავსებულია 3,500 ლარის ღირებულების წყლის ავზი. აღნიშნულ ფართზე სააგენტოს მიერ დაგეგმილი იყო დაფნის პირველადი გადამუშავების საამქროს მოწყობა და შემდგომი ფუნქციონირების პირობებში როგორც

² საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“, მუხლი 36, პუნქტი 1, ქვეპუნქტი 1³.

³ საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“, მუხლი 36, პუნქტი 1.

⁴ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1, ქვეპუნქტები: „გ“ და „დ“.

დეცნილთა დასაქმება, ასევე მიღებული პროდუქციის რეალიზაციის შედეგად შესაბამისი სარგებლის მიღება. აუდიტორული პროცედურებით დადგინდა, რომ სააგენტოს მიერ არაეფექტიანად განხორციელებული სამუშაოების გამო, ფაქტობრივად ვერ განხორციელდა დაგეგმილი პროგრამა და დაფნის ნერგები განადგურდა, ხოლო რაც შეეხება შენობა-ნაგებობას, იგი არაუფლებამოსილი ფიზიკური პირის⁵ სარგებლობაშია, რომელსაც ფართზე მოწყობილი აქვს დაფნის საშრობი. შესაბამისად, შენობა-ნაგებობა (მიწასთან ერთად) და იქ განთავსებული აქტივები გამოიყენება მართლზომიერი და კანონიერი საფუძვლის გარეშე.

2.1.2 გამოუყენებელი უძრავი ქონება

ფაქტობრივი გარემოება 2: სააგენტოს ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების შესწავლით გამოვლინდა, რომ სააგენტოს სარგებლობაში არსებული 4 ერთეულ მიწის ნაკვეთს და მასზე დამაგრებულ 12,468,212 ლარის საბალანსო ღირებულების შენობა-ნაგებობებს (იხ. დანართი N1), სააგენტო არ იყენებს რაიმე კონკრეტული დანიშნულებით. შესაბამისად, ფაქტობრივად დაკარგულია ის სარგებელი, რომელიც შესაძლოა მიიღოს სააგენტომ აღნიშნული აქტივების დანიშნულებისამებრ გამოყენებით.

დასკვნა

დაფიქსირდა სააგენტოს სარგებლობაში არსებული აქტივების არაუფლებამოსილი პირის მიერ, კანონშეუსაბამო და არამართლზომიერი გამოყენება, რის შედეგადაც სააგენტო ვერ იღებს აქტივებისგან შესაბამის სარგებელს. ასევე უძრავი ქონების მომხმარებლის მიზნით არასაკმარის ღონისძიებების გატარებისა და ქონების არაეფექტიანი განკარგვის გამო, დაიკარგა საჯარო რესურსებით მისაღები პოტენციური სარგებელი.

2.1.3 კონსტრუქციების დანაკლისები

კრიტერიუმი: ინვენტარიზაციის შედეგად, „ყველა დანაკლისის, დანაკარგის და ზედმეტობის მიხედვით, ასევე იმ დებიტორული დავალიანებების მიხედვით, რომელთა მიების ხანდაზმულობის ვადა გასულია, საინვენტარიზაციო კომისიამ შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისაგან უნდა მიიღოს წერილობითი განმარტებები, რომელთა საფუძველზეც უნდა დადგინდეს დანაკლისების, დანაკარგებისა და ზედმეტობების წარმოშობის მიზეზები. ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გაატაროს ღონისძიებები ინვენტარიზაციით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსასწორებლად“.⁶

„აქტივების დანაკლისი, ასევე ნორმის ზემოთ მატერიალური მარაგების დანაკლისის ანაზღაურება დაეკისრებათ მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს, თუ დანაკლისი მათი ბრალეული ქმედებით არის გამოწვეული. ამასთანავე, ბრალეულ ქმედებაზე შეკრებილი მასალები ინვენტარიზაციის დასრულებიდან 5 დღის ვადაში გადაეცემა სამართალდამცავ ორგანოებს“.⁷

„ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა ინერგება ფინანსური მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესებისათვის, დაწესებულების მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად, რაც ხორციელდება შემდეგი საშუალებებით:

⁵ ჯ.ფ.

⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ, მუხლი 13, პუნქტები: 1 და 2, ქვეპუნქტი „გ“; პუნქტები: 7 და 9.

⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ, მუხლი 13, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „დ“.

ა) დაწესებულების მიერ განხორციელებული ოპერაციების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, მარეგულირებელ წესებთან, შიდა პოლიტიკასთან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებთან;

ბ) ფინანსური და ოპერაციული ინფორმაციის თაობაზე სრულყოფილი, ამომწურავი და სანდო ანგარიშგება;

გ) სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენება;

დ) აქტივების, ინფორმაციისა და სხვა რესურსების დაცვა დაკარგვისაგან, არამართლზომიერი გამოყენებისაგან ან მართვისაგან და დაზიანებისაგან⁸.

ფაქტობრივი გარემოება 1: სააგენტომ⁹ 2016-2017 წლებში აფხაზეთიდან დევნილ 27 პირს გადასცა სასათბურე კონსტრუქციები იჯარის ხელშეკრულებით. აღნიშნული ფაქტი გადამოწმდა და გამოვლინდა, რომ მათგან 11 ბენეფიციარს არ მიუღია 13,155 ლარის ღირებულების კონსტრუქციები, თუმცა გადაცემის შესახებ გაფორმებულია მიღება-ჩაბარების დოკუმენტები. გარდა აღნიშნულისა, 2020 წელს კვლავ განხორციელდა 24,400 ლარის ღირებულების კონსტრუქციების შესყიდვა. გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით დგინდება, რომ აღნიშნული კონსტრუქციები ასევე სარგებლობაში გადაეცა აფხაზეთიდან დევნილ 10 პირს (აღსანიშნავია, რომ ათივე პირი ირიცხება 2016-2017 წლებში კონსტრუქციების მიმღებთა სიაში). ადგილზე გადამოწმებით გამოვლინდა, რომ 7 პირს 2020 წელს არ მიუღია დამატებითი 18,760 ლარის ღირებულების კონსტრუქციები. შესაბამისად, ჯამში 18 შემთხვევაში ვერ დასტურდება 31,915 ლარის ღირებულების აქტივების არსებობა.¹⁰

2.1.4 ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი დანაკლისი

ფაქტობრივი გარემოება 2: აუდიტის ჯგუფის მიერ აქტივების ადგილზე დათვალიერებით გამოვლინდა, რომ სააგენტოს ბალანსზე რიცხული, სოფელ ზემო ქვალონში (ხობის მუნიციპალიტეტი) განთავსებული კონტეინერი, რომლის საბალანსო ღირებულებაა – 2,480 ლარი, არ აღმოჩნდა მითითებულ მისამართზე. აუდიტის ობიექტის მიერ ვერ იქნა მოძიებული აღნიშნული აქტივი, შესაბამისად, ვერ დგინდება მისი არსებობა. ასევე აუდიტის პერიოდში საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მიმდინარეობდა გამოძიება სააგენტოს ხელმძღვანელის მიერ კორუფციულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც სააგენტო ცნობილ იქნა დაზარალებულ მხარედ. აღნიშნული ფაქტების შემდეგ გამოვლინდა, რომ ორგანიზაციას გააჩნდა ისეთი აქტივები, რომელთა შესახებ ინფორმაცია (შესაბამის პირველად დოკუმენტაციასთან ერთად) აქტივების მიღებასთან დაკავშირებით არ მიეწოდა სააგენტოს საფინანსო სამსახურს და აქტივების ნაშთები არ შეესაბამებოდა რეალურ მდგომარეობას. შესაბამისად, ახალი გარემოებების საფუძველზე, სააგენტომ მიმდინარე წლის სექტემბერში

⁸ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1, ქვეპუნქტები: „გ“ და „დ“.

⁹ აფხაზეთის ა/რ მთავრობის 2019 წლის 23 სექტემბრის N32 დადგენილებით, რეორგანიზაციის შედეგად, სსიპ - გამწვანებისა და გარემოსდაცვითი პროექტების სააგენტოს ბაზაზე შეიქმნა სსიპ - დევნილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტო. თავის მხრივ, სსიპ - დევნილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტოს ბაზაზე აფხაზეთის ა/რ მთავრობის 2021 წლის 17 თებერვლის N11 დადგენილებით შეიქმნა სსიპ - პროგრამებისა და სერვისების სააგენტო.

¹⁰ აღნიშნული საკითხი სააგენტოს მაკონტროლებელი სტრუქტურის (აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო) მიერ გადაგზავნილია საგამოძიებო ორგანოში - საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, შემდგომი რეაგირების მიზნით (აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს 2021 წლის 13 დეკემბრის N626/02 წერილი).

ჩაატარა ინვენტარიზაცია, რომლის შედეგადაც გამოავლინა 113,126,29 ლარის (59 დასახელების აქტივი) დანაკლისი. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია სააგენტომ მიაწოდა მაკონტროლებელ სტრუქტურას (აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო).

დასკვნა

სააგენტოს მიერ არაფინანსური აქტივების უკონტროლობის პირობებში ფიქსირდება საბიუჯეტო რესურსების დანაკლისი, რაც წარმოქმნის აქტივების შესაძლო დატაცების რისკებს.

2.2 დაკავშირებული მხარეები

2.2.1 დაკავშირებული მხარეების მიერ ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტები

კრიტერიუმი: „საჯარო მოსამსახურეს არ შეიძლება დაეკისროს იმ ორგანიზაციაზე სამსახურებრივი ზედამხედველობა, რომლის ხელმძღვანელ ორგანოშიც მისი ოჯახის წევრი საქმიანობს. თანამდებობის პირი, მისი ოჯახის წევრი ვალდებულია ამ თანამდებობის პირის მიერ თანამდებობის დაკავებიდან 10 დღის ვადაში, თუ საქართველოს კონსტიტუციით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, გადადგეს შეუთავსებელი თანამდებობიდან, შეწყვიტოს შეუთავსებელი საქმიანობა“.¹¹

საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობა არის საჯარო მოსამსახურის ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესის დაპირისპირება საჯარო დაწესებულების ინტერესებთან. საჯარო მოსამსახურემ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას უნდა დაიცვას ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპი; საჯარო მოსამსახურემ ბოროტად არ უნდა ისარგებლოს სამსახურებრივი რესურსებით, რათა არ გაიფლანგოს ისინი; საჯარო მოსამსახურემ თავიდან უნდა აიცილოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც ზიანს მიაყენებს პირადად მის რეპუტაციას, შესაბამისი საჯარო დაწესებულების ან სახელმწიფო სამსახურის/საჯარო სამსახურის რეპუტაციას.¹²

„შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია რაციონალურად და საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით განახორციელოს შესყიდვები მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში, ამ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების დაცვით“.¹³

ფაქტობრივი გარემოება: პროგრამების სააგენტოში 2019-2020 წლებში დასაქმებული უფროსი სპეციალისტი იყო სსიპ-ის იმჟამინდელი ხელმძღვანელის ოჯახის წევრი¹⁴, რითაც დაირღვა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები. შედეგად, აღნიშნულ თანამშრომელზე 2019-2020 წლებში შრომის ანაზღაურების სახით კანონშეუსაბამოდ გაიცა 11,200 ლარი.

სააგენტომ 2019-2020 წლებში, ჯამში – 125,896 ლარის მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება გააფორმა და, შესაბამისად, საბიუჯეტო სახსრები გადაუხადა სსიპ-ის დევნილთა ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდის ხელშეწყობის პროექტებისა და პროგრამების სამმართველოს უფროსის¹⁵ ოჯახის წევრის ახლო

¹¹ საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, მუხლი 13, პუნქტები: 4, 14 და 15.

¹² საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, მუხლი 4, პუნქტები: „ა“ და „ბ“; საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 3 და მუხლი 7; საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხლები: 8, 10 და 12.

¹³ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 7, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა“ და მუხლი 8.

¹⁴ მეუღლე.

¹⁵ 2021 წლის 22 მარტიდან 2021 წლის 6 აგვისტომდე პერიოდში სააგენტოს ხელმძღვანელი იყო ი.დ. (დანიშნა - 2021 წლის 22 მარტის აფხაზეთის ა/რ მთავრობის განკარგულება N26; გათავისუფლება - 2021 წლის 6 აგვისტოს აფხაზეთის ა/რ მთავრობის განკარგულება N58.)

ნათესავს,¹⁶ რაც მოქმედი კანონმდებლობით¹⁷ საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტია.¹⁸

დასკვნა

ორგანიზაციაში ხელმძღვანელობის არასათანადო კონტროლის, არამართლზომიერი გადაწყვეტილებებისა და მოქმედი კანონმდებლობის პრინციპების დარღვევის გამო, ფიქსირდება საბიუჯეტო სახსრების კანონშეუსაბამო ხარჯვა.

რეკომენდაცია N1

სააგენტომ შეიმუშაოს კონტროლის ღონისძიებების ქმედითი სისტემა, რომელიც არ დაუშვებს არაუფლებამოსილი პირების მიერ არაფინანსური აქტივების გამოყენებას. მაკონტროლებელთან კოორდინაციით, უზრუნველყოს ინტერესთა შეუთავსებლობასთან დაკავშირებით პრევენციულ ღონისძიებების გატარება, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო ქონების ეფექტიანად გამოყენებასა და შესყიდვების კონკურენტულ გარემოში ჩატარებას.

2.3 პროგრამების დაგეგმვა და შესრულება

2.3.1 პროგრამების შემუშავებისას არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი: „პროგრამა წარმოადგენს ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება გრძელვადიან პერიოდში ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად“.¹⁹

„ქვეპროგრამა დაკავშირებულია შუალედურ შედეგებთან, მისი განხორციელების შემდეგ უნდა მიიღწეს კონკრეტული მდგომარეობა, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს პროგრამის საბოლოო შედეგის მიღწევას. ქვეპროგრამა თავისი შინაარსით უნდა გაიწეროს დასაგეგმი წლის მასშტაბით, მას უნდა ჰქონდეს კონკრეტული შედეგი, რისი მიღწევაც შესაძლებელია ერთი საანგარიშო წლის განმავლობაში“.²⁰

„პროგრამული ბიუჯეტის დანართში ინფორმაცია²¹ წარმოდგენილი უნდა იყოს პრიორიტეტების მიხედვით და უნდა მოიცავდეს ყველა პროგრამის დაფინანსებას და შესაბამისად პრიორიტეტზე მიმართული სახსრების მთლიან ჯამს. ასევე თითოეული პროგრამის განხორციელებით მოსალოდნელ საბოლოო შედეგს და ამ შედეგის შეფასების ინდიკატორებს“.

ფაქტობრივი გარემოება 1: სააგენტოს მიერ ადმინისტრაციული ხარჯების პროგრამისათვის არ იყო განსაზღვრული პროგრამის მოსალოდნელი შედეგები და შეფასების კრიტერიუმები და ინდიკატორები, რომლებიც მიღწეული შედეგების შეფასების საშუალებაა. ასევე სააგენტოს დანარჩენი პროგრამებით განსაზღვრული მოსალოდნელი შედეგების შეფასების ინდიკატორები

¹⁶ ცოლისძმა - ინდემწარმე თ.თ.

¹⁷ საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, მუხლი 4, პუნქტები: „ა“ და „ბ“; საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 3 და მუხლი 7; საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხლები: 8, 10 და 12; საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 7, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა“ და მუხლი 8.

¹⁸ შესაბამისი მასალები სას-ის მიერ გადაგზავნილია საქართველოს გენერალურ პროკურატურაში - 2021 წლის 19 ნოემბრის N014808/19 წერილი.

¹⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“, ტერმინთა განმარტება, პუნქტი 1.

²⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“, 2.5.2 ქვეპროგრამები/ღონისძიებები.

²¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“, 2.7 მარეგულირებელი ნორმები (მეშვიდე თავი). შესრულების შეფასების ინდიკატორები.

ატარებდა ზოგად ხასიათს. შესაბამისად, ვერ ხდებდა მიღებული შედეგის ზუსტი შეფასება(იხ. დანართი N2).

2.3.1 პროგრამების შესრულების ნაკლოვანებები

ფაქტობრივი გარემოება 2: სააგენტოს 2019-2020 წლების პროგრამების შესწავლით გამოვლინდა, რომ მოქმედი 10 პროგრამიდან 4 ფაქტობრივად არ შესრულებულა. მიუხედავად იმისა, რომ გაწერილი იყო ღონისძიებები, რომლებიც უნდა განხორციელებულიყო და გახარჯულია საბიუჯეტო სახსრები, საბოლოო დაგეგმილი შედეგი ვერ იქნა მიღწეული (იხ. დანართი N3). კერძოდ:

- 18 07 03 პროგრამის ფარგლებში ზემო ქვალონში (ხობის მუნიციპალიტეტი) მდებარე მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი იყო ლურჯი მოცვის დარგვა და მიღებული მოსავლის რეალიზაცია, თუმცა ჩატარდა მხოლოდ მიწის შემოღობვის სამუშაოები და პროგრამის მიზნების შესრულების მიზნით სხვა დამატებითი ქმედითი ღონისძიებები არ განხორციელებულა.²²
- 18 07 06 პროგრამის ფარგლებში სოფელ ხამისქურში (ხობის მუნიციპალიტეტი) მდებარე მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი იყო დაფნის ფოთლის გადამუშავების საამქროს მოწყობა და მიღებული პროდუქციის რეალიზაცია. თუმცა განხორციელდა მხოლოდ ფართზე არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია, რომელშიც ამჟამად არაუფლებამოსილი პირის მიერ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მოწყობილია და ფუნქციონირებს დაფნის საშრობი. ასევე არასაკმარისი ღონისძიებების გამო, დაფნის ნერგები განადგურდა და პროდუქციაც ვერ იქნა მიღებული. ამ პროგრამის შედეგად მიღებული დაფნის ნერგების გადატანა 18 07 07 პროგრამის შესაბამისად უნდა მომხდარიყო სოფელ რიყეში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) მდებარე მიწის ფართზე, რომლის მხოლოდ შემოღობვა და ჭაბურღილის მოწყობა განხორციელდა. შესაბამისად, აღნიშნული პროგრამის შედეგად (დაფნის პლანტაციის გაშენება და დაფნის ფოთლის რეალიზაცია) ვერ იქნა მიღწეული.
- 18 07 08 პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო ზუგდიდსა და წალენჯიხაში მცხოვრები დევნილების სათბურების რეაბილიტაცია და შემდგომი მომსახურების მიწოდება. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიზნით დახარჯულია საბიუჯეტო სახსრები და გაფორმებულია შესაბამისი დოკუმენტაცია, აუდიტორული პროცედურებით დადგინდა, რომ ბენეფიციარებს დამატებითი სათბურები ან/და არსებულის რეაბილიტაციის მომსახურება არ მიუღიათ. შესაბამისად პროგრამით განსაზღვრული მიზნები არ არის მიღწეული.²³

ზემოაღნიშნულის შედეგად, სააგენტოს მხრიდან 2019-2020 წლებში არამიზნობრივად არის გახარჯული ჯამში 252,643 ლარის საბიუჯეტო სახსრები.

²² თაღლითობა-მითვისების მუხლით, მათ შორის, მოცვთან დაკავშირებით, დაკავებულია სააგენტოს ყოფილი ხელმძღვანელი და საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ 2021 წლის 20 დეკემბერს გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციით, ასევე დააკავეს აფხაზეთის ა/რ სავაჭრო პალატის ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც ამავდროულად შპს „მედერის“ დირექტორიც იყო. აღნიშნული პირი გარეულია მოცვის საკითხთან დაკავშირებით თანხების მითვისების საქმეში.

²³ აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია სააგენტოს მაკონტროლებელი სტრუქტურის (აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო) მიერ გადაგზავნილია საგამომიბო ორგანოში - გენერალურ პროკურატურაში, შემდგომი რეაგირების მიზნით (აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს 2021 წლის 13 დეკემბრის N626/02 წერილი).

დასკვნა

პროგრამების (ქვეპროგრამების) დაგეგმვა-დამტკიცებაზე პასუხისმგებელი პირების არასათანადოდ განხორციელებული კონტროლის ღონისძიებები და პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შეუსაბამოდ დაგეგმილი პროგრამები (ქვეპროგრამები) წარმოშობს სააგენტოს მიერ დასახული მიზნების შესრულებლობის რისკებს.

რეკომენდაცია N2


სააგენტომ, ზემდგომთან კოორდინაციით, პროგრამების (ქვეპროგრამების) შემუშავებისას მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შეფასების ინდიკატორები შესაბამისობაში მოიყვანოს მეთოდოლოგიასთან. ასევე დანერგოს პროგრამის განხორციელებაზე შესაბამისი მონიტორინგის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი პროგრამული ბიუჯეტის შესრულებასა და პროგრამებით (ქვეპროგრამებით) განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

აუდიტორები

მიხეილ გოდოლაძე
უფროსი აუდიტორი

ეთერ კაცაძე
უფროსი აუდიტორი

ნინო ბრეგვაძე
უფროსი აუდიტორ-ასისტენტი

ხელმოწერა


დანართები

დანართი N1.

ინფორმაცია სააგენტოს მიერ 2019-2020 წლებში გამოუყენებელი უძრავი ქონების შესახებ

N	აქტივის დასახელება	მისამართი	საკადასტრო კოდი	ნარჩენი ღირებულება (01.01.2021)
1	ქუთაისი, გუგუნავა	ქუთაისი, გუგუნავას ქ. N1	03.05.24.398	71 869
2	სოფელი რიყე	ზუგდიდი, სოფელი რიყე	43.09.02.399	169 047
3	ხამისქურის მიწა	ხოზი, სოფელი ხამისქური	45.19.22.029	12 000
4	შენობა-ნაგებობა (ხამისქური)	ხოზი, სოფელი ხამისქური	45.19.22.029	66 487
5	კრწანისის მიწის ნაკვეთი	თბილისი, თელეთი	81.03.16.109	12 105 000
6	კრწანისის კოტეჯი	თბილისი, თელეთი	81.03.16.109	30 732
7	კრწანისის სხვა ნაგებობა	თბილისი, თელეთი	81.03.16.109	13 076
ჯამი:				12 468 212

დანართი N2.

სააგენტოს 2019-2020 წლებში პროგრამების მოსალოდნელი შედეგები და მათი შეფასების ინდიკატორები

კოდი	პროგრამის დასახელება	მოსალოდნელი შედეგები	შეფასების ინდიკატორები
18 07 01	სსიპ - დევნილთა საარსებო წყაროების მხარდაჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტო	პროგრამის მიზანია დევნილთა მცირე ბიზნესის, მათ შორის, აგრარული მიმართულებით მხარდაჭერა პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური მცირე აქტივებით უზრუნველყოფის გზით.	არ არის განსაზღვრული.
18 07 02	დევნილთა კოლექტიურ ცენტრში კეთილმოწყობისა და გამწვანების ღონისძიებები	ბავშვებისთვის მოეწყობა დასვენებისა და გართობის კუთხე; მწვანე საფარი გააუმჯობესებს ეკოლოგიურ მდგომარეობას.	გასართობი კუთხით მოსარგებლე დევნილთა რაოდენობა; გამწვანებული ტერიტორიის ფართობი.
18 07 03	მაღალეფექტური მრავალწლიანი კენკროვანი კულტურის (ლურჯი მოცვი) წარმოების განვითარების	დასაქმდება მუდმივად 8, სეზონურად, პირველ წელს - 10, მეორე წელს - 30, ხოლო მესამე და შემდგომ წლებში - 40-50 აფხაზეთიდან	დასაქმებულთა რაოდენობა; წარმოებული

	ხელშეწყობა	დევნილი.	პროდუქციისა და შემოსავლების რაოდენობა.
18 07 05	დევნილთა მოწყვლადი ჯგუფების დახმარება	9000 აფხაზეთიდან დევნილი მიიღებს დამატებით საარსებო წყაროს.	პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა
18 07 06	დევნილთა დასაქმების ხელშეწყობა დაფნის პირველადი გადამუშავების საამქროს მოწყობა-ფუნქციონირების შედეგად	მუდმივი შემოსავლის წყაროს მიიღებს 10 დევნილი; მიღებული შემოსავლები მოხმარდება ახალი პროგრამების დაფინანსებას.	დასაქმებულთა დევნილთა რაოდენობა; მიღებული შემოსავლების რაოდენობა.
18 07 07	დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა და მათი ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდა მრავალწლიანი კულტურის წარმოება-რეალიზაციის შედეგად	დასაქმდებიან აფხაზეთიდან დევნილი პირები.	პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა.
18 07 08	დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა მარტივი ტიპის სათბურების რეაბილიტაცია-ფუნქციონირების გზით	შემოსავლების მუდმივ წყაროს მიიღებს 20 დევნილი: ბენეფიციარები ადგილობრივ ბაზარს ყოველწლიურად მიაწვდიან კიტრს, პომიდორს, სალათის ფოთოლს და მწვანის.	პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა.
18 07 09	აფხაზეთიდან დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა ერთწლიანი კულტურების წარმოების გზით	დამატებით საარსებო წყაროს მიიღებს 7 აფხაზეთიდან დევნილი.	პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა.
18 07 10	აფხაზეთიდან დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა ერთწლიანი კულტურების წარმოების გზით	დამატებით საარსებო წყაროს მიიღებს 5 აფხაზეთიდან დევნილი: მიღებული შემოსავლები მოხმარდება დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდას და ახალი პროგრამების განხორციელებას.	პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა.

დანართი N3.

ინფორმაცია 2019-2020 წლებში სააგენტოს მიერ შეუსრულებელი პროგრამების შესახებ

კოდი	პროგრამის	განხორციელებ	პროგრამით	2019	2020 წლის	შედეგის
------	-----------	--------------	-----------	------	-----------	---------

	დასახელება	ის ადგილი	განსაზღვრული ლონისძიებები/აქტივობები	წლის ხარჯი	ხარჯი	ხარისხობრივი შეფასება
18 07 03	მაღალეფექტური მრავალწლიანი კენკროვანი კულტურის (ლურჯი მოცვი) წარმოების განვითარების ხელშეწყობა	ხობი, სოფელი ზემო ქვალონი	მიწის შემოღობვა-დამუშავება, ლურჯი მოცვის დათესვა, შემდგომი მოვლა და მოსავლის რეალიზაცია.	37 988,20	74 271,00	ჩატარდა მხოლოდ მიწის შემოღობვის სამუშაოები.
18 07 06	დევნილთა დასაქმების ხელშეწყობა დაფნის პირველადი გადამუშავების საამქროს მოწყობა-ფუნქციონირების შედეგად	ხობი, სოფელი ხამისქური	შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია და დაფნის ფოთლის პირველადი გადამუშავების საამქროს მოწყობა, შემდგომ - მიღებული პროდუქციის რეალიზაცია.		65 808,91	მხოლოდ შენობის რეკონსტრუქცია განხორციელდა, ასევე დაითესა დაფნის თესლი, თუმცა მცენარე არ გაიზარდა და პროდუქცია ვერ იქნა მიღებული.
18 07 07	დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა და მათი ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდა მრავალწლიანი კულტურის წარმოება-რეალიზაციის შედეგად	ზუგდიდი, სოფელი რიყე	მიწის შემოღობვა, წყლის მუდმივი წყაროთი ფართის უზრუნველყოფა, მიწის დამუშავება, დაფნის პლანტაციის გაშენება, ნერგების მოვლა-პატრონობა, დაფნის ფოთლის წარმოება-რეალიზაცია.		50 175,00	ჩატარდა მხოლოდ მიწის შემოღობვის სამუშაოები და მოეწყო წყლის ჭაბურღილი.
18 07 08	დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა მარტივი ტიპის სათბურების რეაბილიტაცია-ფუნქციონირების გზით	ზუგდიდი და წალენჯიხა	არსებული სათბურების რეაბილიტაცია, ბენეფიციართა კვალიფიციური აგრონომიული მომსახურებით უზრუნველყოფა, პროდუქციის რეალიზაციაში დახმარება.		24 400,00	არ განხორციელდა

საკონტაქტო ინფორმაცია**ვებგვერდი და
სოციალური მედია**

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE